

სააქციო საზოგადოება

„პაშა ბანკი საქართველო“

წესდება

2022 წელი

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

- 1.1. "პაშა ბანკი საქართველო" (შემდგომში - "ბანკი") არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოება.
- 1.2. "ბანკი" არის იურიდიული პირი. ბანკის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე "წესდებით", საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ" (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), საქართველოს კანონით "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით და საქართველოს ყველა სხვა შესაბამისი კანონით.
- 1.3. "ბანკს" აქვს საფირმო სახელწოდება, ბეჭედი და ლოგო (სასაქონლო ნიშანი), ასევე იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი ყველა რეკვიზიტი:
 - სრული სახელწოდება ინგლისურ ენაზე: Joint Stock Company PASHA Bank Georgia;
 - სრული სახელწოდება ქართულ ენაზე: სააქციო საზოგადოება "პაშა ბანკი საქართველო";
 - შემოკლებული სახელწოდება ინგლისურ ენაზე: JSC PASHA Bank Georgia;
 - შემოკლებული სახელწოდება ქართულ ენაზე: სს "პაშა ბანკი საქართველო".
- 1.4. "ბანკის" იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N37მ, 0179.
- 1.5. "ბანკის" ელექტრონული მისამართია: info@pashabank.ge.
- 1.6. "ბანკის" საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია.
- 1.7. "ბანკის" სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. ის შეადგენს 12 თვეს, იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს. პერიოდი "ბანკის" რეგისტრაციიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს ერთ არასრულ სამეურნეო წელს.
- 1.8. "ბანკის" შექმნის მიზანია არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება.
- 1.9. "ბანკი" იძენს იურიდიული პირის უფლებებსა და მოვალეობებს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.10. "ბანკს" აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საქართველოსა და უცხოეთში.

1.11. "ბანკს" შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და/ან მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში.

1.12. "ბანკის" პასუხისმგებლობა შეზღუდულია მისი ქონებით. "ბანკი" პასუხს არ აგებს მისი აქციონერ(ებ)ის ვალდებულებებზე. ბანკი კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს. აქციონერები არ აგებენ პასუხს "ბანკის" ვალდებულებებისთვის.

1.13. "ბანკს", სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეუძლია დააფუძნოს ფილიალები, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ამგვარი ფილიალები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს. ფილიალები ფუნქციონირებს შესაბამისი კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციების საფუძველზე.

მუხლი 2

ბანკის საქმიანობის მიზანი

2.1. "ბანკი" თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "მეწარმეთა შესახებ" (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) საქართველოს კანონებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით, ინსტრუქციებითა და სხვა მითითებებით, საბანკო ლიცენზიაზე თანდართული პირობებითა და შეზღუდვებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით და ამ წესდებით. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმა, "ბანკი" იმოქმედებს საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად.

2.2. "ბანკი", საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის პირობების საფუძველზე, აწარმოებს სრულ საბანკო მომსახურებებს, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, რაც, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს:

2.2.1. პროცენტის და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

2.2.2. სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, ვაჭრობის დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;

2.2.3. საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით), ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;

- 2.2.4. ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;
- 2.2.5. გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მომოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრასტების ჩათვლით);
- 2.2.6. საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- 2.2.7. კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- 2.2.8. ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა, ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
- 2.2.9. საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- 2.2.10. ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება;
- 2.2.11. ნებისმიერი სახის სხვა საბანკო საქმიანობა, რისი განხორციელების უფლებაც "ბანკს" გააჩნია საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.
- 2.3. თავისი საქმიანობის განხორციელებისას, "ბანკი" ვალდებულია დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეკონომიკური ლიმიტები და ეკონომიკური ნორმატივები.
- 2.4. "ბანკი" ვალდებულია დაიცვას საქართველოს საბანკო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები და დებულებები სხვა იურიდიულ პირებში წილების/აქციების მფლობელობასთან დაკავშირებით.

მუხლი 3

კაპიტალი, შენატანები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები

- 3.1. "ბანკის" ნებადართული კაპიტალი შეადგენს 129 000 000 (ასოცდაცხრა მილიონი) ლარს.
- 3.2. "ბანკის" განთავსებული კაპიტალი შეადგენს 129 000 000 (ასოცდაცხრა მილიონი) ლარს. სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, ბანკის განთავსებული კაპიტალის მოცულობა ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებას.
- 3.3. "ბანკის" განთავსებული კაპიტალი დაყოფილია 129 000 000 (ას ოცდაცხრა მილიონი) ცალ ჩვეულებრივ აქციად. ერთი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1.00 (ერთი) ლარს. "ბანკის" აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას. "ბანკის" მიერ აქციების გაცემა მოხდება მხოლოდ მისი ნომინალური ღირებულების სრულად დაფარვის შემთხვევაში. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი ხმის უფლებას ვერ გამოიყენებს, თუ საერთო კრება იხილავს ამ აქციონერისთვის სააქციო საზოგადოების მოთხოვნის წაყენების ან მასთან გარიგების დადების საკითხს, აღნიშნულ აქციონერს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი აქვს ან ეს საკითხი სხვაგვარად პირდაპირ უკავშირდება მას.

3.4. ფულადი შენატანის განხორციელების წესი და ვადა განისაზღვრება საერთო კრების ან დირექტორატის (თუ მას ამისი უფლება წინამდებარე წესდებით ან/და საერთო კრების მიერ აქვს მინიჭებული) გადაწყვეტილებით. თუ აღნიშნული ვადა დადგენილი არ არის, აქციონერმა შენატანი უნდა განახორციელოს ბანკის მოთხოვნის შემდეგ, გონივრულ ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული შენატანის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს (ბანკის რეგისტრაციის ან კაპიტალის გაზრდის მომენტიდან).

3.5. ბანკის რეგისტრაციის ან კაპიტალის გაზრდის მომენტისთვის აქციონერმა ფულადი შენატანი უნდა განახორციელოს შესაბამისი გამოშვებული აქციის ნომინალური ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტის ოდენობით, ხოლო ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში – განთავსებული კაპიტალის ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტის ოდენობით.

3.6. თუკი აქციონერმა დაარღვია ფულადი შენატანის განხორციელების ვადა, ვადამოსულ განუხორციელებელ ფულად შენატანს ერიცხება წლიური პროცენტი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი პერიოდისთვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ორმაგი ოდენობით. ბანკმა დამატებით შეიძლება მოითხოვოს აღნიშნული ვადის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

3.7. აქციონერის მიერ ფულადი შენატანის განხორციელების ვადის დარღვევისას, კანონმდებლობის შესაბამისად, აქციის ჩამორთმევის პროცესი შეიძლება დაიწყოს საერთო კრების გადაწყვეტილებით.

3.8 ბანკს უფლება აქვს შექმნას სარეზერვო კაპიტალი.

3.9 "ბანკს" უფლება აქვს კანონით გათვალისწინებული წესით გამოუშვას პრივილეგირებული აქციები. პრივილეგირებული აქცია მის მფლობელს აძლევს აქციონერთა გადაწყვეტილებით დადგენილ უპირატესობას დივიდენდის განაკვეთის და მიღების რიგითობის მხრივ. პრივილეგირებული აქციის მფლობელს, ჩვეულებრივი აქციის მფლობელთან მიმართებით ენიჭება დივიდენდის მიღების უპირატესობა.

3.10. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება სათანადო ემისიის პროსპექტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და საერთო კრების გადაწყვეტილებით, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პრივილეგირებული აქციები არ იძლევიან ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.11. პრივილეგირებულ აქციათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების რაოდენობის ნახევარს.

3.12. "ბანკის" მიერ ახალი აქციების გამოშვებისას - თავდაპირველად იმავე კლასის აქციის მფლობელ აქციონერს, ხოლო შემდგომ - სხვა აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად აქვს ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება. "ბანკი" აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1 პროცენტის მფლობელ აქციონერებს - დაზღვეული წერილით, ხოლო დანარჩენ აქციონერებს - დაზღვეული წერილით ან შესაბამისი ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე ან მარეგისტრირებელი ორგანოს (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებით აცნობებს. ბანკმა აქციონერებს ამ უფლების გამოყენებისთვის უნდა მისცეს სულ მცირე 14 დღის ვადა, რომელიც აითვლება შეტყობინების შესაბამისი პირისთვის ჩაბარების ან ინფორმაციის გამოქვეყნების მომენტიდან. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გაუქმდეს ახალი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.13. "ბანკის" აქციათა რეესტრს" დადგენილი პროცედურების შესაბამისად, აწარმოებს თავად "ბანკი" (აქციათა რეესტრიდან ამონაწერის გაცემაზე პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქციონერთა რაოდენობა 50-ს აღემატება - ბანკის მიერ შერჩეული დამოუკიდებელი რეგისტრატორი. აქციათა გადაცემა არ ჩაითვლება დასრულებულად მანამ, სანამ არ მოხდება გადაცემის დარეგისტრირება აქციათა რეესტრში. აქციაზე საკუთრების უფლება და მისგან გამომდინარე აქციონერის უფლებები წარმოიშობა, იცვლება და წყდება აქციათა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3.14. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები "ბანკის" ნებადართული/განთავსებული კაპიტალის გაზრდის ან შემცირების შესახებ ახალი აქციების გამოშვების, ან შესაბამისად, არსებული აქციების გამოსყიდვის, გაუქმების, ნომინალური ღირებულების ან აქციათა რაოდენობის შემცირების გზით. განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება ნამდვილია მისი რეგისტრაციისა და გამოქვეყნების მომენტიდან. ახლად გამოშვებული აქციის შესასყიდი ფასი არ უნდა იყოს მის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლები.

3.15. განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ჩატარდეს ცალ-ცალკე კენჭისყრა ყველა კლასის აქციებისთვის, რომელთა მფლობელების უფლებებზედაც აღნიშნული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს.

3.16. კანონმდებლობით დადგენილი წესისა და გამონაკლისების გათვალისწინებით, კაპიტალის გაზრდა შეიძლება განხორციელდეს სარეზერვო კაპიტალის (ასეთის არსებობისას) განთავსებულ კაპიტალად გარდაქმნით. ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება.

3.17. საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით, "ბანკს" შეუძლია გამოუშვას ჩვეულებრივი და/ან პრივილეგირებულ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.

3.18. "ბანკის" დირექტორატი, საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ახალი აქციების წესდებით დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობამდე გამოშვების შესახებ იმ პირობით, რომ გამოშვებული ახალი აქციების მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნებადართული აქციების რაოდენობის 50 პროცენტს. აქციების გამოშვების შესახებ წინამდებარე პუნქტით დადგენილი უფლებამოსილება დირექტორთა საბჭოს საერთო კრებამ შეიძლება მიანიჭოს არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის ვადით, ამასთან, ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნდება და აისახება აქციათა რეესტრში.

3.19 "ბანკის" მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული აქციების სავალდებულო გამოსყიდვისა, "ბანკს" უფლება აქვს შეიძინოს და შემდგომში გაყიდოს საკუთარი აქციები ("სახაზინო აქციები"). გამოსყიდული "სახაზინო აქციების" ნომინალური ღირებულება არც ერთ მომენტში არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 10%-ს (ოცდახუთ პროცენტს). "ბანკის" მიერ "სახაზინო აქციების" შეძენის შემთხვევაში - ამ აქციებიდან გამომდინარე უფლებები ჩერდება.

მუხლი 4

ბანკის აქციონერები

4.1. "ბანკის" აქციონერებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც ფლობენ "ბანკის" აქციებს თანხმად დადგენილი წესისა და რეგისტრირებულნი არიან "ბანკის" აქციათა რეესტრში. "ბანკის" აქციონერები შეიძლება იყვნენ საქართველოში და/ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები, საქართველოსა და/ან სხვა ქვეყნის მოქალაქეები.

4.2. აქციონერებს უფლება აქვთ:

4.2.1. მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში;

4.2.2. გაეცნოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;

4.2.3. კანონითა და წესდებით დადგენილი წესით გაეცნოს ბანკის დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები ბეჭდური ფორმით ან ელექტრონულად, თუ აქციონერს წინასწარ აქვს განცხადებული თანხმობა ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებაზე. ჰქონდეს წვდომა "ბანკის" ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, აგრეთვე სააქციო საზოგადოებისგან მიიღოს ინფორმაცია კანონით და წესდებით დადგენილი წესით;

4.2.4. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბანკს მოსთხოვოს თავის საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა. აქციონერს უფლება აქვს ბანკს კანონით დადგენილი წესით მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაუმართლებლად და არსებითად ლახავს ამ აქციონერის უფლებებს ან ეხება ბანკის რეორგანიზაციას.

4.2.5. მიიღოს ნარჩენი ქონება სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად;

4.2.6. პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში (მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს); არჩეულ იქნან სამეთვალყურეო საბჭოში;

4.2.7. მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად; აქციონერის წილი მოგებაში განისაზღვრება მათ საკუთრებაში არსებული აქციების ნომინალური ფასის პროპორციულად. ბანკი ვალდებულია პირველ რიგში შეასრულოს სხვა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ვალდებულებები; აქციონერი, რომელიც სრულად არ შეავსებს შენატანს, მოგების განაწილებაში მონაწილეობას იღებს განხორციელებული შენატანის პროპორციულად;

4.2.8. განკარგონ საკუთარი აქციები კანონმდებლობით და ამ წესდებით დადგენილი წესით;

4.2.9. "ბანკის" ლიკვიდაციის შემთხვევაში, მისი წილის პროპორციულად მიიღონ იმ ქონების წილი, რაც დარჩება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ;

4.2.10. მოსთხოვონ დირექტორებს აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში მითითებული საკითხების განმარტება.

4.2.11. თუ აქციონერთა საერთო კრება არ გააუქმებს მას, გამოიყენონ "ბანკის" ახლადემიტირებული ან არსებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება მათ საკუთრებაში არსებული აქციების პირდაპირ პროპორციულად, წინამდებარე წესდების პირობების გათვალისწინებით;

4.2.12. ერთ ან რამდენიმე აქციონერს უფლება აქვს, შეიტანოს სარჩელი საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ სააქციო საზოგადოების კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად, მათ შორის, სააქციო საზოგადოების თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობით სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მიღებული სარგებლის სააქციო საზოგადოებისთვის გადაცემის ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობის მოთხოვნით.

4.2.13. ხმათა 5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს, ზემოთ აღნიშნული უფლებების გარდა, კანონის ან წესდების შესაბამისად, უფლება აქვთ:

ა) სააქციო საზოგადოების შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვონ სააქციო საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები;

ბ) მოითხოვონ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება;

გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება;

დ) მოითხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2.14. აქციების საერთო რაოდენობის 5%-ის (ხუთი პროცენტის) ან მეტის მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მათ გააჩნიათ საფუძვლიანი ეჭვი რაიმე დარღვევის თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით სამეთვალყურეო საბჭოსთვის;

4.2.15. განახორციელონ კანონით ან წინამდებარე წესდებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებები.

4.3. "ბანკის" აქციონერები ვალდებული არიან:

4.3.1 უზრუნველყონ მათი შესაბამისი შენატანების შეტანა "ბანკის" საწესდებო კაპიტალში, რათა აქციების შესაბამისი რაოდენობა რეგისტრირებული იქნას მათ სახელზე და დაიცვან წინამდებარე წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები.

4.3.2 ბანკს ან აქციათა რეგისტრატორს მიაწოდონ ინფორმაცია მათთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ მონაცემის ცვლილების შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში;

4.3.3 შეასრულონ სხვა მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან/და წესდებით.

4.4. თუ სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა თავისი დომინანტური მდგომარეობა განზრახ გამოიყენა ამ სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

4.5. აქციონერები უფლებამოსილნი არიან გაასხვისონ მათ საკუთრებაში არსებული აქციები 4.6 პუნქტის შეზღუდვათა გათვალისწინებით.

4.6. აქციონერთა მიერ განხორციელებული ნებისმიერი აქციათა გასხვისება, გარდა ნებადართულ მიმდებზე გასხვისებისა, ექვემდებარება დანარჩენ აქციონერთა პირველადი უარყოფის უფლებას, მუხლ 4.7-ში ასახული წესის შესაბამისად. წინამდებარე 4.6 მუხლის მიზნებისათვის, ნებადართული მიმდებში იგულისხმება (ა) ნებისმიერი წარმონაქმნი, რომელიც აკონტროლებს, კონტროლდება ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (პირდაპირ და ირიბად) გადამცემ მხარესთან მიმართებაში, და (ბ) ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც გადამცემ მხარეს აკონტროლებს (პირდაპირ და ირიბად) და რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, აცხადებს თანხმობას წინამდებარე წესდების წესებისა და პირობების შესრულებაზე.

4.7. ნებისმიერ აქციათა გადაცემა, რომელიც ექვემდებარება დანარჩენ აქციონერთა პირველადი უარყოფის უფლებას, შესრულდება ქვემოთ მოცემული პროცედურის შესაბამისად:

4.7.1. აქციონერი, რომელსაც სურს რომ გაასხვისოს მისი აქციები ("შემთავაზებელი" და, შესაბამისად, "შეთავაზებული აქციები"), თავდაპირველად "შეთავაზებულ აქციებს" შესაძენად წარუდგენს შესაბამის აქციონერებს ("შეთავაზების მიმღებნი") ისეთი პირობებითა და წესით, როგორც ქვემოთაა განსაზღვრული ("შეთავაზება");

4.7.2. "შეთავაზება" განხორციელებული იქნება წერილობით და დაეგზავნება "შეთავაზების მიმღებებს" დაზღვეული წერილით, ასევე, თითო ასლი გადაეცემა სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს. „შეთავაზებაში“ მითითებული იქნება "შეთავაზებული აქციების" ნასყიდობის პირობები და შეთავაზებული შემძენის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, "შეთავაზებული აქციების" რაოდენობა და თითოეული აქციისთვის მოთხოვნილი ღირებულება. "შემთავაზებელი" "შეთავაზებას" დაურთავს იმ ხელშეკრულების/მავალდებულებელი ოფერტის ასლს, რომელიც მიღებული აქვს მესამე პირი შემძენისგან;

4.7.3. "შეთავაზების მიმღებებს" ექნებათ 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღე "შეთავაზების" დაგზავნის დღიდან, რათა წერილობით შეატყობინონ "შემთავაზებელს" მათი სურვილი მიიღონ "შეთავაზება" და შეიძინონ "შეთავაზებული აქციები" "შეთავაზებაში" მოცემული პირობების შესაბამისად ("მიღების შეტყობინება");

4.7.4. "შეთავაზების მიმღები", რომელიც არ გასცემს "მიღების შეტყობინებას" აღნიშნული 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიიჩნევა "შეთავაზების" უარყოფელად. ნაწილობრივი, პირობითი ან არასრული "შეთავაზების" მიღება არ ჩაითვლება "შეთავაზების" მიღებად;

4.7.5 "შემთავაზებლის" მიერ "შეთავაზებული აქციების" ნასყიდობის ტრანზაქციის დასრულება შემძენი "შეთავაზების მიმღების" მიმართ, არსებობის შემთხვევაში, განხორციელდება "მიღების შეტყობინების" "შემთავაზებლის" მიერ მიღების თარიღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, წინამდებარე წესდების წესების შესაბამისად, რომლებიც გავრცელდება mutatis mutandis. ასეთის დასრულებისას, "შემთავაზებელი" გაყიდის და გადასცემს "შეთავაზებულ აქციებს" "შეთავაზების მიმღებს" "შეთავაზებაში" მითითებული საფასურის გადახდის სანაცვლოდ;

4.7.6. იმ შემთხვევაში, თუ ერთზე მეტი "შეთავაზების მიმღები" გასცემს "მიღების შეტყობინებას", ყველა "მიღების შეტყობინება" დაექვემდებარება pari passu რიგითობას და აქციები გაიყიდება და გადაეცემა ასეთ "შეთავაზების მიმღებებს" 4.7.5 მუხლის შესაბამისად, mutatis mutandis პრინციპისა და პროპორციული წესის დაცვით, რომელიც გამოითვლება (ა) "მიღების შეტყობინების" გაცემის დღისათვის თითოეული "შეთავაზების მიმღების" მფლობელობაში არსებული აქციათა რაოდენობის გაყოფით (ბ) ასეთი "შეთავაზების მიმღებების" მფლობელობაში არსებულ აქციათა საერთო რაოდენობაზე;

4.7.7. იმ შემთხვევაში, თუ 4.7.3 მუხლში მითითებული 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ "შემთავაზებელი" არ მიიღებს "მიღების შეტყობინებას" ყველა "შეთავაზებულ აქციასთან" მიმართებაში, "შემთავაზებელს" ექნება უფლება თავისუფლად გაყიდოს "შეთავაზებული აქციები" "შეთავაზებაში" ასახული პირობებით შეთავაზებულ შემძენზე, იმ პირობით რომ შესასრულებლად სავალდებულო ხელშეკრულება "შეთავაზებულ აქციებთან" მიმართებაში "შემთავაზებელსა" და შეთავაზებულ შემძენს შორის გაფორმდება 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5

ბანკის მართვა

5.1. "ბანკის" მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

5.2. "ბანკის" საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ.

5.3. "ბანკის" ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტი ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორატის მიერ. "ბანკის" პირველადი რეგისტრაციისას, დირექტორატის წევრებს ნიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ნებისმიერი შემდგომი დანიშვნა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დირექტორატს ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 6

აქციონერთა საერთო კრება

6.1. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა მორიგ ან რიგგარეშე კრებად. მორიგი საერთო კრება მოიწვევა აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში, მაგრამ, არაუგვიანეს სამეურნეო წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში.

6.2. საერთო კრება მოიწვევა საქართველოს ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ, დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს ან კაპიტალის სულ მცირე ხუთი პროცენტის (5%) მფლობელი აქციონერ(ებ)ის მოთხოვნის საფუძველზე.

6.3. თუ ბანკის დირექტორთა საბჭო არ ასრულებს თავის მოვალეობას და არ იწვევს საერთო კრებას, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება.

6.4. საერთო კრების ჩატარების მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და მიუთითებდეს კრების მოწვევის აუცილებლობაზე, მიზანზე, მიზეზებსა და დღის წესრიგს, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. ბანკის დირექტორთა საბჭოს უფლება აქვს საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.

6.5. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, რის თაობაზედაც დგება სხდომის ოქმი. სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს, არის თუ არა საერთო კრება მოწვეული აქციონერთა ინიციატივით.

6.6. აუცილებლობის შემთხვევაში ბანკის დირექტორთა საბჭო ვალდებულია კაპიტალის, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.

6.7. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საერთო კრების ჩატარების თარიღამდე, სულ მცირე, 21 დღით ადრე. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ ქვეყნდება აგრეთვე სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.8. ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ამ მუხლის 6.7 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის, სულ მცირე, 10-დღიანი შუალედი უნდა იყოს.

6.9. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორისა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკის დირექტორთა საბჭოს.

6.10. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს:

ა) სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;

ბ) საერთო კრების ჩატარების თარიღს, ადგილსა და დროს;

გ) აღნიშვნას, მორიგი საერთო კრება ტარდება თუ რიგგარეშე;

დ) საერთო კრების სააღრიცხვო დღეს და მითითებას, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;

ე) საერთო კრების დღის წესრიგს;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში).

6.12 საერთო კრების დღის წესრიგის მასალები უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციას.

6.13 თუ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულია წესდების შეცვლა ან მისი ახალი რედაქციის მიღება, ცვლილების ან ახალი რედაქციის ტექსტი უნდა გამოქვეყნდეს საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტაცია ყველა აქციონერს პირადად ეგზავნება.

6.14 ბანკის დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან გამოაქვეყნონ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მათ მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები და მიუთითონ ამ გადაწყვეტილებების საფუძვლები.

6.15. საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ აქციონერთა განცხადებაზე ბანკის დირექტორთა საბჭოს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლებამოსილება. შესაბამისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს ხარჯები ეკისრება სააქციო საზოგადოებას.

6.16. საერთო კრების დღის წესრიგი საერთო კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებას ყველა აქციონერი ესწრება. საერთო კრების დღის წესრიგში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შეტანილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

6.17. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სია უნდა შეიცავდეს უფლებამოსილი პირების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელ მონაცემებს, აქციათა და პარტნიორთა კატეგორიას, ხმათა რაოდენობასა და მისამართს, რომელზეც უნდა გაიგზავნოს შეტყობინება კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის შესახებ.

6.18. აქციონერს უფლება აქვს სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, მისი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა. აქციონერის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა საერთო კრების მოწვევის პროცედურის არსებით დარღვევად მიიჩნევა. აქციონერის სტატუსის დადასტურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ აქციონერის იდენტიფიცირებისთვის და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც პროპორციულია ამ მიზნის მისაღწევად.

6.19. საერთო კრების მონაწილეთა სიის სისწორისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საერთო კრების მომწვევ ორგანოს.

6.20 . საერთო კრებაში მონაწილეობა დასაშვებია არა მხოლოდ უშუალოდ დასწრებით, არამედ ამ ფორმასთან ერთად ან მის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები.

6.21. შესაძლებელია აქციონერის მიერ ხმის მიცემა საერთო კრებაზე დაუსწრებლად, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. აქციონერმა ხმა შეიძლება მისცეს წერილობით/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით საერთო კრების დაწყებამდე ან საერთო კრების მიმდინარეობისას.

6.22. სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო და აუდიოტრანსლირება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს, საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.

6.23. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 კალენდარულ დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

6.24. თუ ბანკს ერთადერთი აქციონერი ჰყავს, საერთო კრების უფლებამოსილებას ის ახორციელებს. ამ უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება.

6.25. გამოსაქვეყნებელ გადაწყვეტილებაში კრების მოწვევის შესახებ უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) "ბანკი"-ს საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი;

ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი და დრო;

გ) აღნიშვნა იმის შესახებ - მორიგი საერთო კრება ტარდება თუ რიგგარეშე;

დ) საერთო კრების სააღრიცხვო დღე და მითითება იმის შესახებ, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს ირიცხებიან აქციონერებად;

ე) საერთო კრების დღის წესრიგი;

6.26. თუ დირექტორები აქციონერების მიერ კრების მოთხოვნიდან 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის განმავლობაში არ მოიწვევენ რიგგარეშე საერთო კრებას, მაშინ აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი. სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.

6.27. საერთო კრებას თავმჯდომარეობს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას საერთო კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს ჰყავს მხოლოდ ერთი აქციონერი - საერთო კრებას თავმჯდომარეობს ეს აქციონერი ან/და მისი წარმომადგენელი.

6.28. საერთო კრებაზე აქციონერები შეიძლება წარმოდგენილი იქნენ წარმომადგენლების მიერ ნოტარიზებული და ლეგალიზებული (აპოსტილით დამოწმებული) (საჭიროების შემთხვევაში) ფორმით შესრულებული მინდობილობის საფუძველზე. ბანკის დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.

6.29. დაუშვებელია აქციონერის უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.

6.30. წარმომადგენელი ვალდებულია გაამჟღავნოს აქციონერების მიერ იმ რისკის შესაფასებლად საჭირო ფაქტები, რომ წარმომადგენელმა შეიძლება განახორციელოს არა აქციონერის, არამედ სხვა პირის ინტერესები.

6.31. დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ საერთო კრების მუშაობაში.

6.32. ბანკის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე თითო წევრს უნდა მიეცეს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

6.33. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა არანაკლებ 50%-ის მფლობელი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, იგივე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა არანაკლებ 25%-ის მფლობელი. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, იგივე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებული ან წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ხმის უფლების მქონე დამსწრე აქციონერთა უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით ან/და კანონით ხმათა უფრო მეტი ოდენობა არ არის გათვალისწინებული.

6.34. წესდებაში/სადაამფუძნებლო შეთანხმებაში შესატანი ცვლილება მიღებული უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით.

6.35. საერთო კრების მიმდინარეობისას კენჭისყრის ფორმას განსაზღვრავს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

6.37. აქციონერთა საერთო კრებას ენიჭება გადაწყვეტილებების მიღების უფლება შემდეგ საკითხებზე:

6.37.1 სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის ნებართვის გაცემა;

6.37.2 განთავსებული კაპიტალის ცვლილება;

6.37.3 ფინანსური ანგარიშის დამტკიცება და დივიდენდის განაწილება;

6.37.4 საერთო კრების მიმდინარეობის წესის დადგენა და ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა;

6.37.5 წესდებით ან კანონით გათვალისწინებულ გარიგებაზე თანხმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

6.37.6 იურიდიული პირის დაფუძნების ან წილობრივი მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

6.37.7 ხელმძღვანელ პირთა ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

6.37.8 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება.

6.37.9. დაამტკიცოს და შეცვალოს ბანკის წესდება;

6.37.10 ცვლილებები შეიტანოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში;

6.37.11 დაამტკიცოს "ბანკის" აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება და შეარჩიოს აუდიტის განმახორციელებელი პირი; მიიღოს გადაწყვეტილება "ბანკის" რეორგანიზაციის თაობაზე, რაც მოიცავს შერწყმის, გაყოფის, გარდაქმნის (ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმის შეცვლა), დაშლის/ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებებს;

6.37.12 მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების გასხვისების ან/და უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის გაზრდის, სხვა აქციონერის მიერ აქციების გაყიდვის ან საზოგადოების მიერ აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს;

6.37.13 მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

6.37.14 დაამტკიცოს დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;

6.37.15 სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წევრების რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გამოწვევის, ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

6.37.16 დაამტკიცოს "ბანკის" დირექტორატის პირველადი შემადგენლობა იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარად დანიშნული დირექტორები შესაძლოა გათავისუფლდნენ და შემდგომი წევრები დაინიშნონ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, წინამდებარე წესდების საფუძველზე;

6.37.17 დაამტკიცოს "ბანკის" აუდიტის კომიტეტის პირველადი შემადგენლობა იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარად დანიშნული აუდიტის კომიტეტის წევრები შესაძლოა გათავისუფლდნენ და შემდგომი წევრები დანიშნონ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, წინამდებარე წესდების საფუძველზე;

6.37.18 მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, დანიშნოს ამგვარ პროცესში წარმომადგენელი;

6.37.19 მიიღოს გადაწყვეტილებები აქციათა გამოცემის, აქციათა ნომინალური ღირებულების ცვლილების ან დამატებითი აქციების განთავსების, აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების განსაზღვრის, მათი გაყიდვისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოცემის შესახებ, წინამდებარე წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.37.20 მიიღოს გადაწყვეტილება ქონების შეძენაზე, გასხვისებაზე, გადაცემაზე, გაცვლასა (ან მსგავსი ეფექტის მქონე ტრანზაქციაზე) ან დატვირთვაზე, რომელთა ღირებულებაც აღემატება "ბანკის" აქტივების საბალანსო ღირებულების 25%-ს.

6.37.21 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

6.38. საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს უფლება აქვს საერთო კრების მიმდინარეობისას, კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს/დირექტორებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.

6.39. სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭო ვალდებულია აქციონერის შეკითხვებს უპასუხოს და მას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიაწოდოს.

6.40. სააქციო საზოგადოების დირექტორთა საბჭოს უფლება აქვს აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ:

- ა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამ ბანკს შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს;
- ბ) შესაბამისი ინფორმაციის გაცემით კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდება;
- გ) დასმულ შეკითხვას პასუხი საერთო კრების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას ბანკს ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით აქვს გაცემული.

6.41. ინფორმაციის მიწოდებაზე ბანკის დირექტორთა საბჭოს უარი შეიძლება საერთო კრების ოქმის შედგენიდან 15 დღის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს აქციონერის მოთხოვნას, აქციონერს მოთხოვნილი ინფორმაცია საერთო კრების გარეშეც მიეწოდება. ბანკმა იგივე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველა სხვა დაინტერესებული აქციონერისთვის.

6.42. თუ საერთო კრების დაწყებამდე ბანკმა თავისი ინიციატივით რომელიმე აქციონერს, აქციონერის სტატუსიდან გამომდინარე, მიაწოდა ინფორმაცია, იგივე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საერთო კრების მონაწილე ყველა სხვა აქციონერს, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ინფორმაცია საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად აუცილებელი არ არის.

6.43. წლიური ანგარიშის, წლიური ბალანსისა და მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებისას მორიგი საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის მოწონების თაობაზე. საერთო კრების გადაწყვეტილებით ან ხმის უფლების მქონე აქციების 10 პროცენტის მფლობელი აქციონერების მოთხოვნით სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული წევრებისა და ცალკეული ხელმძღვანელი პირების მიერ გაწეული მუშაობის მოწონებისთვის ცალკე კენჭისყრა ტარდება.

6.44. საერთო კრების დამთავრებიდან 15 დღის განმავლობაში, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, აქციონერთა კრების ოქმი დგება წერილობით ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე და უნდა დამოწმდეს ნოტარიალურად.

6.45. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდება;

ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;

გ) ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობა;

დ) საერთო კრებაში მონაწილე ან საერთო კრებაზე წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე აქციების რაოდენობა;

ე) საერთო კრების ჩატარების ფორმა, ხმის მიცემის ფორმა და მიღებული გადაწყვეტილებები საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რიგითობის მიხედვით;

ვ) ყოველი გადაწყვეტილებისთვის – იმ აქციების რაოდენობა, რომლებიდან გამომდინარეც მართლზომიერად იყო ხმები მიცემული, ამ ხმებით წარმოდგენილი წილი განთავსებულ კაპიტალში, ხმების საერთო რაოდენობა, როგორც გადაწყვეტილების სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობა და მათი რაოდენობა, ვინც ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.

6.46 საერთო კრების ოქმს უნდა დაერთოს საერთო კრების დადგენილი წესით მოწვევის დამადასტურებელი ყველა საბუთი.

მუხლი 7

სამეთვალყურეო საბჭო

7.1. აქციონერთა კრება, კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით, ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს სამიდან (3) - ოცდაერთი (21) წევრის შემადგენლობით იმის გათვალისწინებით, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობა უნდა იყოს კენტი. სამეთვალყურეო საბჭოში ყოველი წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით, მაგრამ უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე და ახალი წევრის არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება საერთო კრების გადაწყვეტილებით.

7.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს "ბანკის" დირექტორატის წევრი.

7.3 წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან საერთო კრების გადაწყვეტილებით ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრისა და დირექტორის ასარჩევად გამოიყენება ხმების აკუმულირების მეთოდი, რომლის მიხედვით:

ა) აქციონერი თავის ყველა ხმას ანაწილებს ნებისმიერი რაოდენობის კანდიდატებზე, ისე, რომ კენჭისყრაში მონაწილეობისას მის ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა საერთო რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს კანდიდატს;

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, ყველა ის კანდიდატი, რომელმაც თუნდაც 1 ხმა მიიღო, არჩეულად მიიჩნევა. თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობას, არჩეულად მიიჩნევიან ის კანდიდატები, რომლებმაც კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა მიიღეს.

7.4 სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრები საერთო კრების გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს შეიძლება გამოწვეულ იქნენ წევრობიდან. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

7.5 სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ბანკს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას აქვს საპატიო მიზეზი.

7.6 სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი მონაწილეობა მიიღოს სხვა, მსგავსი საქმიანობის მქონე კომპანიაში 5%-ს მფლობელი პარტნიორის (აქციონერის) ან დირექტორის სახით (ინტერესთა კონფლიქტი). აღნიშნული აკრძალვის მოქმედება იზღუდება საქართველოს ტერიტორიით.

7.7. "ბანკის" კაპიტალის არანაკლებ 20%-ის მფლობელ აქციონერ(ებ)ს უფლება აქვს/აქვთ სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავდეს/ჰყავდეთ სულ მცირე ერთი წამომადგენელი, თუ აღნიშნული შესაძლებელია სამეთვალყურეო საბჭოს რიცხოვნებიდან გამომდინარე.

7.8. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან, კენჭისყრაში მონაწილეთა ხმათა უმრავლესობით, ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, გაიმართება ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ.

7.9. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. ამ ოქმის სისწორისა და სრულყოფილებისთვის პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.

7.10. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს, ხელს აწერს სხდომის ოქმს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებთან ურთიერთობებში.

7.11 ბანკის დირექტორატი ვალდებულია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მიაწოდოს ინფორმაცია იმ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის საქმიანობაზე, აგრეთვე მოსალოდნელი შედეგების შეფასება. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მიღებული ინფორმაცია მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.

7.12 ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს მისი არყოფნის ან მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში.

7.13. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოიწვევა სამ თვეში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება.

7.14 სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან დირექტორთა საბჭოს უფლება აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. ამ მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება. თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან დირექტორთა საბჭოს შეუძლია თავად მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.

7.15. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება ან წარმოდგენილია მისი წევრების 51%. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს შეუძლია, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე იწვევს აქციონერთა საერთო კრებას. კრებაზე დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შეუძლია თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს აქვს 1 ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7.16. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია:

7.16.1. ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორებს (გარდა დირექტორების პირველადი დანიშვნისა წინამდებარე წესდების 6.37.16 პუნქტის შესაბამისად); დებს მათთან ხელშეკრულებებს და განსაზღვრავს ანაზღაურებისა და სამუშაო პირობების საკითხებს; ამტკიცებს დირექტორატის სტრუქტურას, ზომას და შემადგენლობას.

7.16.2. ამტკიცებს დირექტორატის ჩანაცვლების პოლიტიკას და გეგმას;

7.16.3. დებს სასამსახურო ხელშეკრულებებს დირექტორებთან და განსაზღვრავს მათ ანაზღაურებას;

7.16.3. განსაზღვრავს დირექტორების უფლებებსა და მოვალეობებს;

7.16.4. აკონტროლებს და ზედამხედველობს დირექტორთა საქმიანობას. წარმოადგინოს ბანკს დირექტორებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;

7.16.5. მოითხოვს ანგარიშებს დირექტორებისგან საზოგადოების საქმიანობის ნებისმიერი მიმართულების და შედეგების შესახებ;

7.16.6. დირექტორატის წევრებს შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში ზედამხედველობს და წარმოადგენს ბანკს;

7.16.7. გამოითხოვს, განიხილოს, შეამოწმოს, შეისწავლოს და გააკონტროლოს ბანკის საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, საბუღალტრო დოკუმენტაცია, ბანკის ქონებრივი ობიექტები, ნაღდი ფული, ქონება, სხვა ფასიანი ქაღალდები და სალარო. ამ მოქმედებების განხორციელება დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს ან მათ განსახორციელებლად მოიწვიოს ექსპერტები;

7.16.8. ნიშნავს და ათავისუფლებს აუდიტის კომიტეტის წევრებს (გარდა აუდიტის კომიტეტის პირველადი დანიშვნისა წინამდებარე წესდების 6.37.17 პუნქტის შესაბამისად);

7.16.9. ამტკიცებს "ბანკის" დებულებებს, პოლიტიკას, ჩარჩო პოლიტიკას და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს;

7.16.10. "ბანკის" ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცება;

7.16.11. იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, თუ ეს საჭიროა "ბანკის" ინტერესებიდან გამომდინარე;

7.16.12. ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ინფორმაციას ბანკის მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე საკუთარ მოსაზრებებს წარუდგენს საერთო კრებას;

7.16.13. ამზადებს ანგარიშებს, რომლებიც უნდა წარედგინოს აქციონერთა საერთო კრებას.

7.16.14. დირექტორთა საბჭოსგან ნებისმიერ დროს მოითხოვოს ბანკის საქმიანობის ანგარიში;

7.16.15. კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასაჩივრებს საერთო კრების გადაწყვეტილებებს.

7.16.16. ახორციელებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7.17. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში დირექტორატი უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი თანხმობის საერთო კრების მიერ გაცემა. საერთო კრების მიერ თანხმობის გაცემისთვის საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობა.

7.18. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს, გაეცნოს დირექტორთა საბჭოს/დირექტორის მიერ წარდგენილ ანგარიშებსა და ინფორმაციას.

7.19. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ფუნქციები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით.

7.20. ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

7.20.1. "ბანკის" სტრატეგიული ზედამხედველობა და კონტროლი;

7.20.2. კორპორატიული სტრატეგიის და სტრატეგიული მიზნების დამტკიცება, სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი სტრატეგიულ მიზნებთან და საოპერაციო გეგმებთან მიმართებაში;

- 7.20.3. ბიზნეს გეგმის დამტკიცება, ბიზნეს გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- 7.20.4. ყოველწლიური ბიუჯეტის დამტკიცება, ყოველწლიური ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი;
- 7.20.5. ახალი საბანკო ან კომერციული საქმიანობის წამოწყება და არსებული საქმიანობის შეწყვეტა;
- 7.20.6. ახალი საწარმოების, ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია;
- 7.20.7. კომპანიებში წილის შეძენა და განკარგვა;
- 7.20.8. ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება;
- 7.20.9. ეთიკის კოდექსისა და "Whistleblowing" პროცედურის დამტკიცება;
- 7.20.10. აქციონერთა გადაწყვეტილების თანახმად გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ;
- 7.20.11. მოგების განაწილების შესახებ წინადადების წარდგენა აქციონერთა საერთო კრებისთვის;
- 7.20.12. რისკის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის სტრატეგიული ზედამხედველობა;
- 7.20.13. რისკის აპეტიტის დამტკიცება, ყოველწლიური გადახედვა;
- 7.20.14. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცება;
- 7.20.15. კონფლიქტის ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელების ავტორიზაცია "ბანკის" მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში;
- 7.20.16. ინტერესთა კონფლიქტსა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებთან დაკავშირებული პოლიტიკების, სტანდარტებისა და პროცედურების დამტკიცება;
- 7.20.17. "ბანკის" თანამშრომლებისთვის, მათ შორის დირექტორატის წევრებისთვის ბონუსების დაწესების და სხვა სარგებელთა შესახებ ჩარჩო პოლიტიკის განსაზღვრა;
- 7.20.18. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სტრუქტურის, ზომის და შემადგენლობის დამტკიცება, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრების დანიშვნა და განთავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ანგარიშების განხილვა;
- 7.20.19. გარე აუდიტორების არჩევა;
- 7.20.20. სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- 7.20.21. კორპორატიული მდივნის დანიშვნა და განთავისუფლება;

7.20.22. ტრანზაქციების დამტკიცება, რომელიც წესდებით ან კანონმდებლობით არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას და განისაზღვრება, მაგრამ არ შემოიფარგლება სესხის აღების, სესხების და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემის, სესხის რესტრუქტურისა, სესხის ჩამოწერის, მატერიალური და არამატერიალური აქტივების შეძენა-განკარგვის, ობლიგაციების გამოშვების, ადმინისტრაციული ხარჯების, ნაღდი ფულის ლიმიტების, საჯარო და კერძო კომპანიებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების დამტკიცებით იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქციის მოცულობა აღემატება დირექტორთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების და ხელმოწერის უფლებამოსილების ლიმიტებს;

7.20.23. დირექტორთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების და ხელმოწერის უფლებამოსილების ლიმიტების დამტკიცება;

7.20.24. "ბანკის" ან მესამე პირების სესხების ან სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფა, თუ ამგვარი ტრანზაქცია არ განეკუთვნება "ბანკის" ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობის;

7.20.25. ფასიანი ქაღალდების გამოშვების დამტკიცება;

7.20.26. მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება, რომელიც გამოიყენება საკრედიტო რესურსებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში;

7.20.27. პირობების და წესების განსაზღვრა და დამტკიცება, რომელიც გამოიყენება ბანკის თანამშრომლებისთვის საკრედიტო რესურსებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში;

7.20.28. შესაბამისი ზომების დანერგვის ზედამხედველობა შიდა და გარე აუდიტორის შემოწმების შედეგების მიხედვით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით;

7.20.29. გადაწყვეტილებების მიღება იმ საკითხებზე, რომელიც სცდება დირექტორატის უფლებამოსილებების ფარგლებს;

7.20.30. აქციონერთა კრების მოთხოვნით სხვა პასუხისმგებლობების შესრულება.

7.20.31. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

7.21. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან იზრუნონ, კეთილსინდისიერად შეასრულონ დაკისრებული ვალდებულებები და იმოქმედონ "ბანკის" საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის სოლიდარულად აგებენ პასუხს, თუკი ვერ დაამტკიცებენ, რომ მათ არ დაურღვევიათ თავიანთი ვალდებულება.

7.22. დირექტორთა საბჭოს ფუნქცია-მოვალეობები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

მუხლი 8

დირექტორთა საბჭო (დირექტორატი)

8.1. "ბანკის" ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს (დირექტორატის) მიერ, რომლის წევრებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო (აქციონერთა კრება - წინამდებარე წესდების 6.37.16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში).

8.2. ბანკის დირექტორთა საბჭო ვალდებულია საერთო კრების მოთხოვნით მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.

8.3. დირექტორატი შედგება არანაკლებ 3 (სამი) დირექტორისგან. დირექტორატის თითოეული წევრის სტატუსი და მოქმედების სფერო განისაზღვრება თითოეული მათგანის დანიშვნისას. სამეთვალყურეო საბჭო ნებისმიერ დროს არის უფლებამოსილი გაზარდოს დირექტორატის წევრთა რაოდენობა შესაბამისი წერილობითი გადაწყვეტილების მიღების გზით.

8.4. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს 4 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება დირექტორის უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული დირექტორის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდებულად მიიჩნევა.

8.5. დირექტორატის წევრები ბანკს ერთობლივად ხელმძღვანელობენ, თუ წინამდებარე წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

8.6. დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ 51%. თითო წევრს აქვს თითო ხმის უფლება. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე პირთა ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ კანონმდებლობით ხმათა უფრო მეტი რაოდენობა არ არის მოთხოვნილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში - თავმჯომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

8.7 "ბანკის" დირექტორატის ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

8.7.1 წარმართოს და განახორციელოს "ბანკის" მიმდინარე საქმიანობა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული შიდა პოლიტიკისა და ბიზნეს გეგმის შესაბამისად;

8.7.2 შეადგინოს წლიური ანგარიში და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიში, აგრეთვე წმინდა მოგების გამოყენების შესახებ წინადადება - სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად.

8.7.3 წინასწარ განიხილოს "ბანკის" აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი, მოამზადოს სათანადო ინფორმაცია, წინადადებები და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები;

8.7.4 ნებისმიერ აქციონერს მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის საქმიანობის შესახებ და მისცეს ბანკის დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

8.7.5. განსაზღვროს ბანკის პოლიტიკა თანამშრომლების დანიშვნის, გათავისუფლების, ანაზღაურების თაობაზე და თანამშრომელთა დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დაიცვას - სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები, მათ შორის, ბანკის ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებით. ფინანსური წლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მიმდინარე წლის ბიზნეს გეგმა;

8.7.6. ზედამხედველობა გაუწიოს "ბანკის" ფილიალებისა და განყოფილებების მუშაობის, მათ ხელმძღვანელობაზე დაკისრებული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის საკითხებს;

8.7.7. განიხილოს შიდა აუდიტის ან გარე რევიზიის, ასევე ნებისმიერი დაქირავებული კონსულტანტის მასალები, აგრეთვე "ბანკის" ფილიალებისა და განყოფილებების ხელმძღვანელთა ანგარიშები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;

8.7.8. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ფლობდეს უახლეს ინფორმაციას "ბანკის" ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები "ბანკის" ოპერაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე; "ბანკის" სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობით, დირექტორატი ვალდებულია უზრუნველყოს "ბანკის" გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა; იგი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს საამისოდ ყველა საჭირო ზომის მიღება;

8.7.9. შეიმუშაოს და დაამტკიცოს დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ბანკის შიდა დოკუმენტები. შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული პოლიტიკები და შიდა რეგულაციები;

8.7.10. ზედამხედველობა გაუწიოს "ბანკის" ყველა განყოფილებასა და დეპარტამენტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ "ბანკი" სათანადო მომსახურებას უწევს მის კლიენტებს;

8.7.11. უზრუნველყოს აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს კრებების გადაწყვეტილებების და ნებისმიერი სხვა მოვალეობის შესრულება;

8.7.12. მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ბანკს "ბანკის" საქმიანობის განვითარების თაობაზე, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დაცვით;

8.7.13. დაამტკიცოს ნებისმიერი სახის ტექნიკური დახმარების, მომსახურების და ნასყიდობის ხელშეკრულებები და ნოუ-ჰაუ.

8.7.14. განახორციელოს სხვა ნებისმიერი უფლებამოსილება, რაც კანონმდებლობით აქვს მინიჭებული და არ განეკუთვნება საერთო კრების ან/და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.

8.8 "ბანკის" დირექტორატის საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარუძღვება დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო და რომელიც უფლებამოსილია სხვა დირექტორს გადასცეს უფლება-მოვალეობანი, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით.

8.9 დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თანამდებობაზე აირჩევა და თანამდებობიდან თავისუფლდება კენჭისყრაში მონაწილე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით.

8.10 დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, როგორც კოლეგიური ორგანოს წარმომადგენელი, კოორდინაციას უწევს ბანკის დირექტორატის საქმიანობას, თავმჯდომარეობს დირექტორატის სხდომებს და აკონტროლებს დირექტორატის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია დირექტორატის და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის შესახებ.

8.11 გენერალური დირექტორი უფლებამოსილია დანიშნოს, გაათავისუფლოს თანამშრომლები და განსაზღვროს მათი ანაზღაურება, გადაწყვიტოს "ბანკის" დასაქმებულებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხი.

8.12 "ბანკის" დირექტორები მართავენ და წარმოადგენენ "ბანკს". "ბანკის" წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, მის არყოფნაში - 8.3 პუნქტში მითითებულ პირებს ერთობლივად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკის შესაბამისი შინაგანაწესით სხვა წესია გათვალისწინებული. ნებისმიერი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მის არყოფნაში 8.3. პუნქტში მითითებულ პირთაგან ორი ერთობლივად (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკის შესაბამისი შინაგანაწესით სხვა წესია გათვალისწინებული) არის უფლებამოსილი წარმოადგინოს "ბანკი" ყოველგვარი მინდობილობის გარეშე.

8.13 დირექტორები გადაწყვეტილებებს იღებენ ხმათა უბრალო უმრავლესობით. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ან მის არყოფნაში, დირექტორატის ნებისმიერი წევრი ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭოს სხდომებს გადამწყვეტი ხმის უფლების გარეშე. დირექტორატის სხდომების თაობაზე დგება წერილობითი ოქმი და მას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

8.14 სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დებს შესაბამის ხელშეკრულებას დირექტორებთან. დირექტორებთან დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს სასამსახურო ხელშეკრულებას და რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.15 დირექტორების კომპეტენცია განისაზღვრება წინამდებარე წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს "ბანკის" ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის წესები, რომელიც განსაზღვრავს თითოეული დირექტორის უფლება-მოვალეობებს და მათი უფლებამოსილებების შეზღუდვას, წინამდებარე წესდების გათვალისწინებით. უფლებამოსილების ნებისმიერი შეზღუდვა მესამე პირების წინაშე ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მითითებულია წესდებაში ან დარეგისტრირებულია სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში".

8.16 დირექტორები ორგანიზებას უწევენ აქციონერთა საერთო კრებას, აუდიტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს ორგანიზაციულ-ტექნიკური თვალსაზრისით.

8.17 დირექტორი ვალდებულია ბანკის საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.

8.18 დირექტორი ბანკის წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია შეიზღუდოს დირექტორის პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისთვის.

8.19 ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და დირექტორი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც ბანკს მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილებით მიადგა, თუ დირექტორს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სამეწარმეო გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა. აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო გადაწყვეტილება კანონით ან ამ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევით არის მიღებული.

8.20. ვალდებულების რამდენიმე დირექტორის მოქმედებით ან უმოქმედობით შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი ბანკის წინაშე პასუხს სოლიდარულად აგებენ.

8.21 დირექტორები პასუხს აგებენ "ბანკის" წინაშე დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის.

8.22. დირექტორი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. დირექტორი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შესაბამისი ფაქტის შეტყობისთანავე აცნობოს საერთო კრებას ან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. იმ გარიგებასთან დაკავშირებით, რომელთან მიმართებითაც არსებობს ინტერესთა შესაძლო კონფლიქტი, გადაწყვეტილება მიიღება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.23. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები შეიძლება გადაეცეს დირექტორთა საბჭოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9

აუდიტის კომიტეტი

9.1. "ბანკის" აუდიტის კომიტეტი შედგება 3 (სამი) წევრისაგან, რომლებსაც ირჩევს "ბანკის" სამეთვალყურეო საბჭო (აქციონერთა საერთო კრება - წინამდებარე წესდების 6.37.17 პუნქტის საფუძველზე) 4 წლის ვადით ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული უფრო ნაკლები ვადით. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტის ნებისმიერი წევრი შესაძლოა ხელახლა იყოს არჩეული.

9.2. აუდიტის კომიტეტის წევრები მოქმედებენ დამოუკიდებლად და არ არიან დაქვემდებარებულნი "ბანკის" მენეჯმენტს, გენერალურ დირექტორს ან დირექტორატის სხვა წევრებს და არ ექვევნიან მათი გავლენის ქვეშ.

9.3. აუდიტის კომიტეტი მოქმედებს წინამდებარე წესდების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

9.4. აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობს და აკონტროლებს "ბანკის" საქმიანობას, ამკვიდრებს სათანადო ბუღალტრულ სტანდარტებს და აკონტროლებს "ბანკის" ანგარიშგებას, ზედამხედველობს ამ პროცედურების დაცვას და ამოწმებს "ბანკის" ანგარიშებს, აფიქსირებს და მონიტორინგს უწევს საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების მოთხოვნათა დაცვას.

9.5. აუდიტის კომიტეტი ვალდებულია:

9.5.1. დაუწესოს "ბანკს" აღრიცხვისა და სააღრიცხვო კონტროლის შესაბამისი წესები, განახორციელოს მათი დაცვის ზედამხედველობა და შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით ჩაატაროს "ბანკის" ანგარიშგებისა და საბუღალტრო ჩანაწერების რევიზია;

9.5.2. თვალყური ადევნოს "ბანკის" მიერ მოქმედი კანონმდებლობის დაცვას;

9.5.3. დაამტკიცოს "ბანკის" შიდა აუდიტის სამსახურის დებულება და ორგანიზება გაუკეთოს "ბანკში" შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირებას;

9.5.4. უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის ობიექტურობა და დამოუკიდებლობა დირექტორატისაგან;

9.5.5. დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის სამუშაო გეგმა მომავალი ფისკალური წლისათვის, რომელიც, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს "ბანკის" შესაბამისი ორგანოების მიერ სავალუტო, საკრედიტო, საინვესტიციო, საანგარიშწორებო, საბუღალტრო და სხვა სახის რისკების მართვას;

9.5.6. შეადგინოს კვარტალური მოხსენებები და სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს წარუდგინოს აუდიტორული გამოკვლევები და რეკომენდაციები;

9.5.7. ზედამხედველობა გაუწიოს შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობას და მისი თანამშრომლების საქმიანობას, შეადაროს მათი მუშაობის ხარისხი ყოველ კვარტალურ და წლიურ სამუშაო გეგმას; შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის და ინდივიდუალური შიდა აუდიტორების მუშაობა; მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები;

9.5.8. უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა "ბანკის" სხვა დანაყოფებთან;

9.5.9. ხელი შეუწყოს გარე აუდიტის საქმიანობას.

9.6. შიდა კონტროლის პროცედურების განხორციელების მიზნით, აუდიტის კომიტეტის წევრებს დაშვება აქვთ ნებისმიერ და ყველა საქმიან დოკუმენტთან. თანამშრომლები ვალდებული არიან აუდიტის კომიტეტის ნებისმიერ წევრს მიაწოდონ ყველა საბუღალტრო და სხვა დოკუმენტი, რომელიც გონივრულობის საფუძველზე იქნება მოთხოვნილი ამ წევრის მიერ.

9.7. აუდიტის კომიტეტი პერიოდულ (კვარტალში ერთხელ მაინც) მოხსენებებს წარუდგენს აქციონერთა საერთო კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოს.

9.8. აუდიტის კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ მაინც ან იმ სიხშირით, რაც საჭიროა მისი ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის ან სამეთვალყურეო საბჭოს მოწვევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით. დამსწრე წევრებს არ აქვთ ხმის მიცემისგან თავის შეკავების უფლება. აუდიტის კომიტეტის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

მუხლი 10

მოგების განაწილება

10.1. "ბანკის" წმინდა მოგება განისაზღვრება ყველა გადასახადისა და სხვა ხარჯების დაფარვის შემდგომ. მიმდინარე სამეურნეო წლის წმინდა მოგებას ანაწილებს "ბანკის" აქციონერთა საერთო კრება.

10.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გამოქვითვისა და სავალდებულო გადახდის შემდგომ, წმინდა მოგების დარჩენილი ნაწილი განაწილდება აქციონერებს შორის აქციონერთა კრების შესაბამისი გადაწყვეტილებით დადგენილი წესით. ნებისმიერი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აქციონერები არ არიან უფლებამოსილნი მიიღონ რაიმე სახის ფულადი თანხა ან კომპენსაცია, გარდა წინამდებარე წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე განაწილებული დივიდენდებისა.

10.3. აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აქციონერთა ყოველწლიურ საერთო კრებამდე ერთი თვით ადრე, დირექტორატი ამზადებს წინადადებას წმინდა მოგების განაწილების თაობაზე და წარუდგენს მას სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცებისათვის. თუ ამგვარი წინადადება მოგების განაწილების თაობაზე დამტკიცდება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აქციონერთა საერთო კრებას წარუდგენენ მოგების განაწილების თაობაზე ერთობლივ წინადადებას. თუ დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეჯერდებიან მოგების განაწილების ერთობლივ წინადადებაზე, თითოეული მათგანი წარუდგენს ცალკე წინადადებას აქციონერთა საერთო კრებას. აქციონერთა კრება დამოუკიდებლად იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მოგების განაწილების თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის მიერ წარდგენილი ერთობლივი ან განცალკევებული წინადადების საფუძველზე.

10.4. აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს დივიდენდების განაწილების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ უნდა იყოს აქციონერთა საერთო კრების შემდგომ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით გვიან, იმის გათვალისწინებით, რომ სააღრიცხვო დღე უნდა იყოს სამუშაო დღე. მხოლოდ ის აქციონერები, რომლებიც აქციებს ფლობენ ამგვარი სააღრიცხვო დღისათვის, არიან უფლებამოსილნი მიიღონ დივიდენდი მათ საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის პირდაპირ პროპორციულად.

10.5. აქციონერთა იგივე საერთო კრება განსაზღვრავს დივიდენდების გადახდის თარიღს. დივიდენდების გადახდის თარიღი უნდა იყოს დივიდენდების სააღრიცხვო თარიღიდან მინიმუმ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის შემდეგ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრების ჩატარებიდან ორი თვის ვადაში.

მუხლი 11

ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

11.1. "ბანკი" ვალდებულია განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვა და წარადგინოს ბუღალტრული ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად.

11.2. ბუღალტრული აღრიცხვის მთავარი მიზნებია:

11.2.1. მთლიანი და სარწმუნო ინფორმაციის ფორმირება საზოგადოების სამეურნეო პროცესების და სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობისა და მართვისათვის, ასევე მისი გამოყენებისათვის ინვესტორებისათვის, მომწოდებლებისათვის, მყიდველებისათვის, კრედიტორებისათვის, საგადასახადო, საფინანსო და საბანკო ორგანოებისათვის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისათვის;

11.2.2 უზრუნველყოს ქონებით, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსებით დადგენილი წესების შესაბამისად სარგებლობის კონტროლი.

11.2.3. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში ნეგატიური მაჩვენებლების დროული გამოვლენა (პრევენცია) და შიდასამეურნეო რესურსების და რეზერვების მობილიზება "ბანკის" ინტერესებიდან გამომდინარე.

11.3. საზოგადოების საანგარიშო წელი იწყება მისი რეგისტრაციის დღიდან და მთავრდება იმავე წლის 31 დეკემბერს. შემდგომი სამეურნეო წლები უნდა შეესაბამებოდეს კალენდარულ წლებს.

11.4. ბუღალტრული აღრიცხვა უნდა წარმოებდეს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. "ბანკის" ბუღალტრული ჩანაწერები და ფინანსური დოკუმენტები სათანადოდ და სწორად უნდა იქნას მომზადებული საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს ("სბსს") მიერ დამტკიცებული "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" ("ფასს") (რაც მოიცავს "სბსს"-ს დამტკიცებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს და წინა შემადგენლობისას მიღებულ "საერთაშორისო ბუღალტრულ სტანდარტებს") (მათში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე; ამგვარი დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს "ბანკის" ძირითად მისამართზე.

11.5. სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ირჩევს გარე აუდიტორს, რომელიც უნდა იყოს ფინანსურად და სამართლებრივად "ბანკისაგან" დამოუკიდებელი. აღნიშნული აუდიტორის მიერ ჩატარებული შემოწმება უნდა მოიცავდეს ბუღალტრულ პროცედურებს, ბალანსს და "ბანკის", ასევე მისი შვილობილი კომპანიების ბიზნეს პრაქტიკას. ყოველწლიური აუდიტის დასრულების შემდგომ, საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარედგინოს სრული ანგარიში; "ბანკის" ფინანსური მონაცემები და აუდიტორის ანგარიში ასევე უნდა გამოქვეყნდეს "საქართველოს ეროვნული ბანკის" მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 12

ინტელექტუალური საკუთრება

12.1. ნებისმიერი ცოდნა, გამოგონება, დიზაინი, მეთოდი, სავაჭრო ნიშანი ან სახელწოდება, რომელსაც განავითარებს და შეიმუშავებს "ბანკი" ("ინტელექტუალური საკუთრება"), წარმოადგენს "ბანკის" ექსკლუზიურ საკუთრებას. თითოეული აქციონერი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა დაცული იქნას "ბანკის" ინტელექტუალური საკუთრების უფლება და ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც მომსახურებას უწევს "ბანკს" ან სხვაგვარად აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს "ბანკის" ინტელექტუალური საკუთრება, ხელს მოაწერს გამოუხმობად ვალდებულებას დაუყოვნებლივ გადასცეს "ბანკს", ამ უკანასკნელის პირველივე მოთხოვნისას, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა უფლება და ინტერესი.

მუხლი 13

კონფიდენციალურობა

13.1. თითოეული აქციონერი ("მიმღები") დაიცავს "ბანკის" და "ბანკის" სხვა აქციონერების ("ინფორმაციის გადამცემი მხარე") "კონფიდენციალურ ინფორმაციას" (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ქვემოთ). ამ მიზნებისათვის, "კონფიდენციალური ინფორმაცია" ნიშნავს ყველა არა-საჯარო ინფორმაციას, რაც მოიცავს მონაცემებს, ტექნოლოგიას, ნოუ-ჰაუსს, გამოგონებას, აღმოჩენას, დიზაინს, პროცესს, ფორმულირებას, მოდელს, ფასებს, მარკეტინგს, მომწოდებლებსა და გაყიდვების მონაცემებს, კლიენტების ვინაობასა და მოთხოვნებს, სამომავლო ან შესაძლო კლიენტებს, ბიზნესის წარმოების მეთოდს, მარკეტინგული საქმიანობის მონაცემებს და/ან სავაჭრო ან კომერციულ საიდუმლოებებს, რომლებიც გადაეცა ან შესაძლოა გადაეცეს "მიმღებს" "ინფორმაციის გადამცემი მხარისაგან" ან მისი სახელით, ან რომელსაც "მიმღები" სხვაგვარად მიიღებს "ინფორმაციის გადამცემი მხარისაგან". "მიმღები" არ გამოიყენებს "კონფიდენციალურ ინფორმაციას" რაიმე სხვა მიზნებისათვის, რაც არ არის გათვალისწინებული წესდებით და არ გაუმჟღავნებს "კონფიდენციალურ ინფორმაციას" რომელიმე მესამე პირს "ინფორმაციის გადამცემი მხარის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. წინამდებარე წესდების 13.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ ეხება ინფორმაციას, რომელიც (ა) არის ან გახდება საჯარო რაიმე სხვა მიზეზით, გარდა წინამდებარე წესდების მოთხოვნების დარღვევისა; (ბ) ცნობილი იყო "მიმღებისათვის" ინფორმაციის გამჟღავნებამდე იმის გათვალისწინებით, რომ გამჟღავნებისთანავე "მიმღებმა" ეს ფაქტი უნდა აცნობოს "ინფორმაციის გადამცემ მხარეს" და უნდა დაუდასტუროს მას წერილობითი დოკუმენტაციით, რომ ამგვარ ინფორმაციას იგი მართლაც ფლობდა; (გ) კანონიერად გადაეცა "მიმღებს" მესამე მხარისაგან, რომელსაც არ ეკისრება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება "ინფორმაციის გადამცემი მხარის" წინაშე; ან (დ) რომლის გამჟღავნების ვალდებულებაც "მიმღებს" ეკისრება შესაბამისი კანონმდებლობის ან საფონდო ბირჟის წესების საფუძველზე, რომელსაც სავალდებულო ხასიათი აქვს "მიმღებისათვის".

მუხლი 14

ბანკის საქმიანობის შეწყვეტა

14.1. "ბანკის" საქმიანობის შეწყვეტა ხდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2. საქმიანობის შეწყვეტისა და/ან საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში, ხდება "ბანკის" ლიკვიდაცია. ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკისა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაუშვებელია "ბანკთან" დაკავშირებული პირის ლიკვიდატორად დანიშვნა.

14.3. "ბანკის" საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, გამოყოფის, გაყოფის, გარდაქმნის) ან ლიკვიდაციის გზით. "ბანკის" რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლება და მოვალეობა გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.

მუხლი 15

სხვადასხვა

15.1. ანაზღაურება. "ბანკი" თითოეულ დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს აუნაზღაურებს, შესაბამისი კანონით დადგენილ მაქსიმალურ ფარგლებში, ყველა ხარჯს, ღირებულებასა თუ პასუხისმგებლობას, რომელიც გაწეული იქნება თითოეული დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ მის საქმიანობასთან და თანამდებობასთან დაკავშირებით ან საქმიანობის ან თანამდებობაზე მოღვაწეობის განხორციელებისას. გონივრული ხარჯები, რომელიც გაწეულ იქნება თითოეული ისეთი დირექტორის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს "ბანკის" თანამშრომელს, დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს თუ აქციონერთა საერთო კრების სხდომაზე დასწრებისას (მგზავრობისა და დასწრების გონივრული ხარჯების ჩათვლით), ანაზღაურდება "ბანკის" მიერ.

15.2. ცვლილება ან შესწორება. წინამდებარე წესდება არ იქნება შესწორებული სხვაგვარად, გარდა წერილობითი ფორმით შესრულებული და ნოტარიულად დამოწმებული აქციონერთა შეთანხმების ფორმით.

15.3. უფლებამონაცვლეები. წინამდებარე წესდება სავალდებულოა შესასრულებლად "ბანკის" აქციონერების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, სამართალმემკვიდრეების, უფლებამონაცვლეებისა და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა პირისათვის.

15.4. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია. წინამდებარე წესდება რეგულირდება და შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, კანონთა კოლიზიის პრინციპების დაუცველად. "ბანკის" აქციონერთა და "ბანკის" მმართველ ორგანოთა შორის ნებისმიერი დავის არსებობის შემთხვევაში, რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე წესდებიდან გამომდინარე უფლებებთან და მოვალეობებთან ან წინამდებარე წესდების ნებისმიერი დებულების ინტერპრეტაციასთან, შესაბამის მხარეს გააჩნია უფლება მიმართოს თბილისის (საქართველო) სასამართლოს. ეს დათქმა გულისხმობს თბილისის საქალაქო სასამართლოს ექსკლუზიურ განსჯადობას.

15.5. განცალკევადობა. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე წესდების ნებისმიერი დებულება აღუსრულებადია შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე, იგი ჩანაცვლდება იგივე ან ყველაზე ახლო ექვივალენტური ეფექტის მქონე აღსრულებადი დებულებით. ასეთ დროს დანარჩენი დებულებები განაგრძობენ სრული ძალით მოქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებისმიერი დებულების აღუსრულებადობა, ან მისი ჩამნაცვლებელი დებულების შედეგები იმგვარი იქნება, რომ გამოიწვევს წინამდებარე წესდების ძირითადი დანიშნულების მიუღწევლობას.

15.6. ძალაში შესვლა. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის დღიდან.

15.7. შეუსაბამობა. წინამდებარე წესდებებსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ კანონმდებლობას.

15.8. ეგზემპლარები. წინამდებარე წესდება შედგენილია 5 (ხუთი) ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეულს თანაბარი ძალა გააჩნია.

/ხელმოწერილია/

მირ ჯამალ ჰაფიზის ძე ფაშაიევი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და დარეგისტრირებული ღია სააქციო საზოგადოება „ფაშა ბანკი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

უფლებამოსილება: დამფუძნებლის/ერთპიროვნული აქციონერის სრულად უფლებამოსილი წარმომადგენელი

თარიღი: 15 მარტი 2022 წელი

ადგილი: ქალაქი ბაქო, აზერბაიჯანის რესპუბლიკა

ბეჭედდასმულია.

ბეჭდის წარწერა: აზერბაიჯანის რესპუბლიკა. ღია სააქციო საზოგადოება „ფაშა ბანკი“.